**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 232 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 232

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანნიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".



## ახალი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული"

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე 3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ".

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

კვირას, 10 ოკდომბერს,

წარმოდგენ. იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტულლერი, ბუნაკოვისა, შიხუცკაია-მინენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 11 ოკდომბერს,

ტფილისის მე-3 გიმნაზიის მე-8 კლასის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

წარმოდგენილი იქნება

## დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმ., მუს. ნაპრავნიკისა.

სამშაბათს, 12 ოკდომბერს,

ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა და ვ. ნ. ანიჩკოვის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## ცარსკაია ნევესტა

მუსიკა რიმსკი-კარსაკოვისა.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა და «ვერტერი», მუსიკა მონიუშკოსი.

**ბილეთები ისყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

## სააგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. გალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**გრ. ვ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 საათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 საათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

მოწინავე შეტაკება იყო მუკდენთან თუ ნამდვილი ომი? სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «რუსკია ვედომოსტი»-სა ბ-ნი ს. კ. სწერს, რომ საზოგადოთ ჩვენის ლაშქრის მდგომარეობა ძალიან ჩამაფიქრებელია და ამიტომ სასაცილოდ უნდა ჩაითვალოს ის აზრი, ვითომც რაც აქამდის მოხდა მუკდენს ქვეით, მხოლოდ მოწინავე რიზმების დატაკება იყო, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება გენერალ კუროპატკინის მიერ დაწყობილ გალაშქრებაზედ. თუ ეს ნამდვილი და უდიდესი ომი არ იყო, მაშ როგორ მოჰხდა, რომ მარტო მუკდენში ორ ოკდომბრამდე ამოიყვანეს 23,000 დაჭრილი. ახლა რამდენს დაჭრილს აიყვანდნენ ტელინში ფუშენისა და ინპანის გზით! გარდა ამისა, ყოველ ხუთ დაჭრილზედ უნდა ვიანგარიშოთ თითო მოკლული ან უგეშოთ დაკარგული. მარჯვენა ფრთაზედ ჩვენ დაგვაკლდა არა ნაკლებ 28,000 კაცისა, თუ მარცხენა ფრთასაც ასევე ზარალი მოუვიდა, მაშინ მთელი ჩვენი ზიანი 26 სეკდემბრიდამ 2 ოკდომბრამდე შეადგენს 41,000 ჯარის კაცს, ე. ი. ისეთ უშველებელ რიცხვს, რომლის მზგავსიც არ დაგვიკარგავს ნაპოლეონის ომის შემდეგ. ექვს დღეში ჩვენს თვალ წინ დასავლეთ ლაშქარში დადნა მთელი ოთხი პოლკი ქვეითა ჯარისა, ერთი პოლკი ცხენოსანისა და სამი საარტელერიო დივიზიონი, და კიდევ იძახიან, რომ ეს მოწინავეთა შეტაკება იყო, და არა ნამდვილი ომიო, რომელიც ჯერ არ დაწყებულაო. ნეტა საროდიოთ და ელიან ამ ნამდვილ ომს! (რ. ვ.).

—

რით გათავდა სატევ იერიშის მიტანა? იგივე მიმომხილველი ამბობს, რომ 1 ოკდომბრამდე ისე გაუჭირდა ჩვენს ჯარს საქმე, რომ რაც კი წვრილ-წვრილი მარქაფა რაზმები ჰყვანდათ პოლკების ზარალის შესავსებლად, სულ გაწვეულნი იყვენ ომში და 1 ოკდომბერს გენერალმა კუროპატკინმა გაიწვია მთელი ის საზოგადო მარქაფა ჯარი, რომელიც მას ებარა. ამავე დროს რამდენიმე პოლკი დაიქანცა განუწყვეტელის ომით და უძილობით, ბევრი მათგანი სამის დღის უძილონი იყვნენ, გზები საშინლად გააფუჭა ნიაღვრებმა, იაპონელები კი გაშმაგებულნი ხან აქედამ დაეცემოდნენხ თავს, ხან იქიდამა, და რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენმა ლაშქარმა ველარ განიგრძო სატევ იერიშების წარმოება და მთელი თვისი ძალა მოახმარა მოგერებას, რომლის დროსაც უმთავრეს ლაშქარს უნდა უკან-უკან დაეწია და მდინარე ხუნხეზე გადასულიყო, რომ მუკდენის გზა არ მოეჭრა მისთვის მტერსა, რომელიც გამალებული მიისწრაფოდა მისკენ. რასაკვირველია, ოიამას რომ ჰყვანდეს 50,000 კაცამდე მომეტებული ჯარი გენერალ ოკუს ლაშქარში, ამ ჯარს გადაიყვანდა ხუნხეზედ 25—30 ვერსის მოშორებით დასავლეთისაკენ, რომ იქიდამ პირდაპირ მუკდენზედ წასულიყო და მოეჭრა ჩვენის ლაშქრისათვის ტელინის გზა. მაგრამ ასეთს საქმეს იგი ეხლა ვერ გაჰბედავს, რადგან მარტო იმოდენი ძალა აქვს, რამდენიც საჭიროა მოპირდაპირეზედ იერიშის მისატანად და მდინარე შახეს გასამაგრებლად (რ. ვ.).

—

ახალ ომის შედეგი. კორესპონდენტი გაზ. «რუსსკოე სლოვო»-სი მუკდენიდამ 3 ოკდომბერს ბ-ნი ლოდიჟენსკი იწერება, რომ სატევ იერიშის მიტანამ მტერზე ვერ გაამართლა ჩვენი იმედებიო. დასავლეთით დიდი ზიანი ვნახეთ, ვერას გავხდით და უკან დავიწიეთ. კუროკის

წინაალმდეგ გაგზავნილმა ჯარმა, რომელსაც უნდა გვერდიდამ შემოევლო მისთვის, ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება. უნდა ვთქვათ, ამბობს ბ-ნი ლოდიჟენსკი, რომ ამას იქით, რაც უნდა ბედმა გაგვიღიმოს, მოკლე მერმისში მაინც ვერ მივაყენებთ იაპონელებს იმდენა ზარალს, რომ მტერი დამარცხებულად ჩაითვლებოდეს და მოგვეცეს ბედნიერება დავიხსნათ საშინელის განსაცდელიდამ მრავალტანჯული პორტ-არტურიო.

—

მტერს ჩვენზედ მეტი ჯარი ჰყავს მუკდენთან. «ნოვოე ვრემია»-ს კორესპონდენტის ბ-ნ როსტოვცევის სიტყვით, მარშალი ნოძუ მძიმედ დაიჭრა ომშიო. 3 ოკდომბერს ჯერ კიდევ არა სჩანდა უკანასკნელი შედეგი საზოგადო სატევიერიშის მიტანისაო. ჩვენი ლაშქარი იბრძვის გენერალ კუროპატკინის ხელმძღვანელობით და მთელი ჩვენი იმედიც ამაზედაა დამყარებულიო. ეჭვს გარეშეა, რომ მტერს ჩვენზედ მომეტებული ჯარი ჰყავს და ჩინებულად იცის ადგილ-მდებარეობა ომის ველისა. იაპონელები გასაშტერებელ გულადობას იჩენენ და ჩვენზედ ნაკლები ზარალი არ მოსდით, მაგრამ მაიც გამაღლებულნი იწევენ ჩვენზე, მათს ენერგიას არ უჩანს ბოლო და მხოლოდ რუსის ჯარს შეუძლიან უდგნოს მის მედგრობასაო.

# ახალი ამბავი

**ქალაქის მოურავის არჩევნების გამო.** ორშაბათს, 11 ოკდომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭომ უნდა ამოირჩიოს ქალაქის მოურავი. კანდიდატებად ასახელებენ უფრო ორ მოღვაწეს—ხმოსანს ა. ს. ბაბოვს და ქ. ა. ვერმიშევს. პირველი არის წარმომადგენელი თვითმართველობის ოპოზიციისა, ხოლო მეორე ეგრედ-წოდებულ «დვორცოვი ნომრებისა» და ეგრედვე წოდებულ „ახალგაზდების“ ჯგუფისა. ოპოზიციის ჯგუფმა საბჭოში აღმართა დროშა, რომელსაც ემსახურებოდნენ 1890—1892 წლებში ქართველი ხმოსნები და რომელიც დაამხობინა მათ ძირს 1883 წლის არჩევნებმა. „დვორცოვი ნომრების“ ჯგუფმა ისახელა თავი, სხვათა შორის, მითი, რომ განდევნა ქართველობა ქალაქის საბჭოდან. დიდი სამსახური მიუძღვის ოპოზიციას, რომ უკანასკნელ არჩევნებში ხმოსნებად კვლავ არჩეულ იქმნენ ქართველები და რომ ამ უკანასკნელ წლებში ასე თვალსაჩინოდ განელდა ტფილისში ნაციონალური შოვინიზმი სომეხთა და ქართველთა შორის. ვნახოთ, რომელი მხარე გაიმარჯვებს ორშაბათის არჩევნებში და რომელი მათგანი მოიპოვებს ძალას ქალაქის მოურავის შესვლით ჩვენს გამგეობაში, ხოლო აშკარად ვიტყვით, რომ თანაგრძნობა ქართველთა საზოგადოებისა უნდა ეკუთვნოდეს ოპოზიციის წარმომადგენელს, და ამიტომ ვუსურვებთ პატივცემულ ა. ს. ბაბოვს სრულს გამარჯვებას.

*** **ნაძალადევლთა თხოვნა.** ნაძალადევის მოსახლეარენი დიდი ხანია სთხოვენ ქალაქს—მოგვყიდეთ საიჯარო მიწები, რომ ნამდვილ მესაკუთრეებად შევიქმნეთ ჩვენის ნაშრომ-ნაამაგევისა, გული დავუდოთ მამულის რიგიან მოვლა-პატრონობასა და არ ვიყვნეთ გამუდმებულ შიშში, რომ ვადის შემდეგ ქალაქი ჩამოგვართმევს მიწებს და დაანგრევს ჩვენს სახლებსაო. ეს თხოვნა ამ დღეებში განიხილა საბჭოს კომისიამ და უარი უთხრა ნაძალადევლებს. ჩვენ არ გვესმის აზრი ამ უარისა. ნაძალადეველთ უჭირავთ სულ რაღაც 30—40 დღიური მიწა. საქენში რომ მარტო თუმანი აიღოს, დღესვე გამოისყიდიან ამ მიწებს და ჩააბარებენ ქალაქის გაღარიბებულ კასსას ნახევარ მილიონ ფულს მაინც. ამ ფულით თვითმმართველობა შეიძენს სულ უკანასკნელ ოთხი ათასს დღიურ მიწას, რომელიც ეკუთვნის კერძო კაცთ და რომელსაც ისინი სიხარულით მიჰყიდიან ქალაქს ათ თუმნად დღიურს. ეს მიწები ქალაქის მამულებს გვერდზედ აკრავს და თვითმმართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მათი შესყიდვისათვის. ანგარიში, ქალაქის კეთილდღეობა, სამართალი და ყოველივე აშკარადა ჰღაღადებს, რომ საბჭომ უეჭველად დააკმაყოფილოს ნაძალადეველთა თხოვნა.

*** **ქართულ წარმოდგენების სეზონის დაწყება.** ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში დაიწყება ქართულ წარმოდგენების სეზონი. როგორც ვუწყით, პირველი წარმოდგენა გაიმართება გ. ერისთავის ხსოვნის პატივსაცემლად; წარმოადგენენ მისსავე პიესებს. ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობას რეპერტუარი უკვე შეუმუშავებია და იმედია, რომ საქმე კარგად წავა, რადგანაც რეპერტუარში ისეთი პიესებია შეტანილი, როგორც, სხვათა შორის, ბარრეტის ტრაგედია «ახალი მოძღვრება», «კაცობრიობის კეთილის მყოფელნი», «წითელი მანტია», «მოჩვენებანი», «მაგდა», «საზოგადოების ბურჯნი», «როზა ბერნდტი», «M-lle ფიფი» და მრავალი სხვანი. ახალ ორგინალურ პიესებიდგან, სხვათა შორის, შეტანილია რეპერტუარში შემდეგნი: «სხვის ნაოხარზედ», ვ. გუნიასი, «ჭრელი სუფრა», ი. ევდოშვილისა, «მეზობლები», ტრ. რამიშვილისა (ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი), «შიო თავადი», შ. დედაბრიშვილისა, «სამშობლოს ბურჯნი», ნ. აზიანისა, «ოჯახის ბურჯნი», დ. ნახუცრიშვილისა და ძველი ცნობილი პიესები. ამხანაგობის დირექციას დაუწესებია მორიგი რეჟისურა. მორიგე რეჟისორებად იქმნებიან ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია და კ. მესხი. ვუსურვებთ ამხანაგობას სრულს წარმატებას.

*** **ხოლერა ბაქოში.** 7 ოკდომბერს ხოლერით ავად გამხდარა ორი კაცი. წინად ავად გამხდართაგან 5 კაცი გარდაცვლილა.

*** **ფუნიკულერი.** სააქციონერო საზოგადოებას, რომელსაც მამადავითის მთაზედ ფინიკულერი აჰყავს, იმედი აქვს, რომ ნოემბრის ბოლომდე უკვე მოამზადებს ფინიკულერს და მიმოსვლასაც დაიწყებს. ფინიკულერის ყველა მანქანები მიღებულია საზღვარ გარეთიდგან.

*** **დეპეშა მანჯურიიდგან.** ტფილისის გაზეთებს გუშინ შემდეგი დეპეშა მოსვლიათ: «მანჯურიის საზღვრიდგან კავკასიელნი გულითად სალამს ვუძღვნით ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ- მუხრანბატონი, გაბაშვილი, საგინაშვილი, გულაბაშვილი.»

*** **«კრუჟოკის» საქმე.** 8 ოკდომბრისათვის დანიშნული საქმის გარჩევა «ტფ. კრუჟოკის» საზაფხულო სადგომის ანტისანიტარულს მდგომარეობის თაობაზედ გადიდო 12 ოკდომბრისათვის.

*** **დედინაცვლისაგან გერის წვალება.** 7 ოკდომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ახალ-ქალაქის მოქალაქის ცოლის ტაკუჰნა კუჩუროვის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა 1902 წლის ზაფხულში ბორჯომში თავისის 5 წლის გერის ავეტის კუჩუროვის წვალება. მოწმებმა დაამტკიცეს, რომ კუჩუროვისამ მართლა დასტანჯა თავისი გერიო. კუჩუროვისამ თავი დამნაშავედ აღიარა და განაცხადა, რომ ბიჭი ძლიერ ეშმაკობდა, მოთმინებიდგან გამომიყვანა და ამის გამო, რაც მომხვდა ხელში, ვცემეო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო კუჩუროვისა და გარდაუწყვიტა 2 თვით და 20 დღით ციხეში დაპატიმრება.

# საქართველოს ამბები

**გურია.** საშინელი და საოცარი დრო დაგვიდგა! დღეს, როდესაც ასე საჭიროა ვცნათ ჩვენი თავი და საერთო ჭირ-ვარამს ვებრძოლოთ, ჩვენის დუხჭირ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მეტი შრომა გავწიოთ, აქ კაცის კვლასა და ხალხის ძარცვა-გლეჯას დასასრული აღარ მიეცა. თითქმის დღე არ გავა, რომ არ გაიგონოთ ორ-სამ ალაგას ავაზაკთა თავდასხმისა და კაცის კვლის ამბავი! გაზეთებში მესამედიც არ იბეჭდება ამისთანა ამბებისა. დღისა და ღამეს გარჩევა არა აქვს და ყოველ წამს უნდა ელოდეთ «გურულ ხუნხუზთა» სტუმრობას; ამის გამო მგზავრობაც შეუძლებელია, რადგან გზებში ჩასაფრებულან და გამვლელ-გამომვლელთ სძარცვავენ. ხალხი ისეა დაშინებული და ისეთს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, რომ არ იცის, რა ჰქნას და როგორ მოუაროს თავის ქონებასა და სიცოცხლეს!

მერე სად არის ეს ამბები? გურიაში, რომელმაც სწავლით, წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებით, წიგნის სიყვარულით, საქართველოს ყველა სხვა კუთხეს წინ გაუსწრო და ცნობილი იყო თვისის პატიოსნებით.

ძარცვა-გლეჯის გახშირების ერთ მიზეზად შეიძლება ხალხის ქონებრივად გაღარიბება დავასახელოთ, მაგრამ გაღარიბების საწინაალმდეგო წამალი სხვა უნდა ვეძიოთ; ერთ-ერთის დარბევა ვერას გვიშველის და სირცხვილს-კი დიდს გვაჭმევს გურულებს სირცხვილი იქით იყოს, მაგრამ ვაი თუ უარესი დაგვემართოს!? სამწუხაროდ, აქაურნი რაინდნი ადამიანის ტანჯვა-წამებასაც არ ერიდებიან. სოფ. ძიმითში ბოროტ-განმზრახველნი თავს დაესხნენ გასაძარცვავად ერთს აქაურს მკვიდრის სახლობას, მოხუცი დედაკაცი ხანჯლით დაჩხვლიტეს და სახლდაუსახიჩრეს! ეს ამბავი შუა დღისას მოხდა!.

კაცის კვლა ხომ იმდენია, რომ ანუსხვაც კი ძნელია. თუ ეს ბოროტ-მოქმედებანი ხალხის ქონებრივად გაღარიბების შედეგია, მაშინ ბედნიერი იქნება, ვინც მომავალ წელს ვეღარ მიაღწევს, რადგან გაისს უარესი სიღარიბე და იქნება, სიმშილობაც ჩამოვარდეს. მაშას თუ საჭმელი პური მოვუსპეთ, ამით ქვეყანა აშენდებაო, როგორც ზოგიერთებს ეგონათ.

აქეთ ჰირნახულის ტეხა-კრეფას ნელნელა შეუდგნენ კიდევაც; კარგი პირი უჩანდა მოსავალს, მაგრამ არა მგონია, შარშანდელზედ მეტი მოუვიდეს ვისმეს.

ამას წინად გწერდით, რომ 29 სეკდემბერს სად. ნატანებიდგან მიმავალი მგზავრები გაძარცვეს მეთქი. ერთის ავაზაკთაგანი იმავე ღამეს, გზიდგან ერთი ვერსის მოშორებით, ტყეში თოფით მკვდარი ჰნახეს; როგორც გამოირკვა, თავისსავე ამხანაგს მოეკლა. მოკლული აღმოჩნდა ოზურგეთის მცხოვრები გიორგი მესხია. ავაზაკებიც აღარ ინდობენ ერთმანეთს.

27 სეკდემბერს სოფ. ბახვში ერთი იქაური მცხოვრებთაგანი—ბასილია—ჩასაფრებია გზაზედ მომავალს სოფლის მწერალს დ. შევარდნაძეს, რომლის მოკვლაც სდომებია, მაგრამ შევარდნაძეს მოუსწრია თოფის სროლა და ბასილია სასიკვდილოდ დაუჭრია.

ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა მგზავრების გამძარცველი მეორე ავაზაკიც მოიყვანეს დაჭერილი—ვიღაც ხომერიკი.

უსუფ-ადა.

—

## სამშობლოს გარე

### I

### რა მიზეზია?

პეტერბურგი, 26 სეკდემბერი

გუშინ ერთ შეძლებულ ქართველ კაცის ოჯახში ვიყავი. სხვათა შორის იქ იყო პეტერბურგელი ხანში შესული ლიტერატორი. უკანასკნელი დიდის ყურადღებით ისმენდა ჩვენს ბაას და სიამოვნებით ათვალიერებდა ოთახში (დარბაზში) ჩამოკიდებულ სურათებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებისას.

— ისეთ ჩვენებურ, ქართულ ვახშამს გაჭმევთ, რომ რუსული და ევროპიული საჭმელები დაგავიწყდესო,—გამოებაასა ლიტერატორს ოჯახის პატრონი.

— თქვენ ღვინო საკუთარ მამულიდან მოგდით მგონი.

— დიაღ, დიაღ... საუცხოვო ღვინოა. ასეთს პეტერბურგში ვერ იშოვით... უპასუხა მასპინძელმა.

ვახშამი მართლაც რომ ჩინებული და ჩვენებური იყო, ღომი და ღომშიც კი გვაჭამეს..

ვახშმის გათავებამდის სულ ჩვენებურ საჭმელს აქებდა მასპინძელი... ამ დროს საქართველო სამოთხედ მიაჩნდა...

გაველით თუ არა სასტუმრო ოთახში, ლიტერატორმა კაბინეტისკენ გასწია და იქ წიგნებს დაუწყო გადათვალიერება.

— ზოგიერთი თქვენი გაზეთების გამოცემაშეაჩერეს მგონი?

— არა მეთქი, ვუპასუხე, სომხურ ჟურნალ...

— ჰო, სულ დამავიწყდა, უკაცრავად. გამაწყვეტინა სიტყვა ლიტერატორმა... წარმოიდგინეთ, ჯერ ქართული არც გაზეთი და არც ჟურნალი არ მინახავს...

— დიდის სიამოვნებით მოგაწვდით მეთქი,—მხიარულად ვუთხარ პატიოსან ლიტერატორს.

— თქვენ რას სწუხდებით, მასპინძელს ვთხოვ და მაჩვენებს...

ლიტერატორმა მიჰმართა მასპინძელს.

— უკაცრავად, მაგრამ ერთი ქართული ჟურნალი ან გაზეთი მაჩვენეთ...

— მე არ ვიწერო,-დინჯად უპასუხა მასპინძელმა.

— როგორ?-გაიკვირვა ლიტერატორმა.

— ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში არაფერი არარის, შენიშნა კვლავ მასპინძელმა და სიტყვა ბანზე აავდო...

აგრეა, ბატონებო... ასეთი სენი საზოგადოა რუსეთში მყოფ შეძლებულ ქართველთა შორის...

აქ ბევრს შეძლება შესწევს, ყველაფერი, მაგრამ ქართული ჟურნალი, გაზეთი, წიგნი... არ ინტერესებს... მხოლოდ ღომის, ღვინის და ღოშის შეძენით გვიმტკიცებენ ბევრნი ქართველობას აქაც და თვით ჩვენ ქვეყანაშიაც...

მე კარგათ ვიცნობ ბევრს მალოროსთა და პოლონელთა ოჯახებს. მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით გაცნობენ თავს და არა სასმელსაჭმელებით. მე ჯერ არ შემხვედრია ისეთი პოლონელთა ოჯახი, რომელსაც ერთი რიამე გაზეთი ან ჟურნალი არ მოსდიოდეს...

ვიცნობ ბევრს ღარიბ პოლონელს, რომელსაც თვეში 35 მანეთი ეძლევა ჯამაგირი, ცოლ-შვილი ჰყავს და ორ სამ გაზეთს იწერს თავის ენაზე..

ჩვენ ჟურნალ გაზეთების ან წიგნების ნაცვლათ ღომს და ღოშს ვიწერთ...

რა მიზეზია?

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები არ ვარგა? ცუდი მიმართულებისაა? არ შევვიძლია ფულის გადახდა?..

არა, აქ სულ სხვა მიზეზია... მიზეზი, რომელსაც სხვა ერთა წარმომადგენელთა შორის ვერ იპოვით...

რამდენად მეტს ეცნობით სხვა ერთა წარმომადგენელთ, იმდენად უფრო გული გწყდებათ...

მალოროსი, პოლონელი, ფინი და სხვანი ცხრა მთას იქით მიდიან თავიანთ სამშობლოდან, მაგრამ თვის ქვეყნის ცხოვრებას შორიდან ადევნებენ თვალს. იღებენ გაზეთებს, რომელნიც მათ სამშობლოში იბეჭდება,..

ჩვენ... ეს არ მოგვწონს...

რატომ, რა მიზეზია?!.

განა ღომით უნდა დავაკმაყოფილოთ აქ, სამშობლოს გარე, ჩვენი სულიერ-გონებრივი მოთხოვნილებანი?!.

მალაქია ბოლქვაძე.

# რუსეთი

წელს ტომსკის უნივერსიტეტში მიიღეს სამი ქართველი—სემინარიელები: გორდეზიანი გიორგი (იურიდიულ ფაკულტეტზედ), თევზაია ვიქტორი და ხატისკაცი ალექსი (საექიმო ფაკულტეტზედ). სემინარიელებს, რომელთაც ლათინურს ენაში ნიშანი არა აქვთ, უნივერსიტეტში არ იღებენ. იმათ შეუძლიათ წარმოადგინონ ცალკე მოწმობა ლათინურ ენის ცოდნისა გიმნაზიის მთავრობისაგან, ან სემინარიიდგან. აქაურ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღეს ტფილისის სემინარიაში მეორე ხარისხით კურს დამთავრებული ა. ლომიძე. საერთოდ ეს ერთად ერთი მაღალი სპეციალური სასწავლებელია, სადაც მეორე ხარისხელ სემინარიელებსაც იღებენ და კავკასიელებს შეღავათს აძლევენ, თუ ატესტატში საერთო ნიშანი ფიზიკა მათემატიკაში 4 აქვთ, ამ შემთხვევაში კავკა-

—

# ფელეტონი

***

კ—ლს.

ნუ შემიბრალებთ... ღვენა, გვემა
მსურს,
ვით ბედით კრულს ძეს ისრაელისას!
შხამ-გესლი მრავლად დააპკურევით
თითოეულს წვეთს ჩემის ცრემლისას.
მინდა საზაროდ კვნესოდეს ჩანგი,
ვიდრემდე ვუმზერ წამებულს შვილებს;
მინდა ვუმღერდე მწუხარე ჰანგსა
უდროვოდ მკვდართა შთენილს აჩრდილებს.

—

ამ უკუღმართ და მუხთალ სოფელში,
სადაც სიმართლეს სტანჯვენ და ჰკლავენ,
სად ფარისეველს თაყვანსა სცემენ,
ჭეშმარიტების ჯვარზე აკრავენ,
სად ფული მეფობს, ხოლო გონება,
ფეხით გათელილ, დათრგუნვილია,—
აი, ამ ალაგს... იბრძვის მარადის,
ვინც-კი ცხოვრების ღირსი შვილია.

—

და ჩემი გმირიც აკი იბრძოდა,
ტალღით ტალღაზე გადადიოდა!
ჭეშმარიტების გამომწვეველი
მისი საყვირი შორს გაჰკიოდა!...
გაწამებული, ვით ალასთერა,
ეწყვეტებოდა კიდიდან კიდეს...
ხოლო მტარვალთა ამა ქვეყნისა
ფეხით გასთელეს... მოჰკლეს, მოსწყვიტეს
მისსა სიცოცხლეს... ოჰ, მეგობარო!
შენ არა ჰგავდი იმ ფარისევლებს,
რომელნიც, თუ კი ამაღლდებიან,
ყოველ ადგილას დაღვრიან ცრემლებს.

—

მოვა დრო, ველსა ქარი დაჰბერავს,
მწუხრი მოიცავს მთლად არე-მარეს;
შავი ღრუბელი გადიფინება
ლურჯსა კამარას, შენებრ მდუმარეს;
ჰექა-ქუხილი ასტყდება ქვეყნად,
გადილეწება ხუნდი, ბორკილი!
და ხალხის გულში კვლავაც გაცოცხლდება
პირველი მსხვერპლი, ცხოვრების შვილი.

ბ. ახოსპირელი.

—

## ომი და ბიუროკრატია *).

როდესაც ღირს-სახსოვარ ღამეს, იანვრის 27-ს, იაპონიის ნაღმოსნები გაჩნდენ პორტ არტურის გარეგან რეიდზე, ისინი ჩვენმა მეზღვაურებმა თავისანებათ მიიღეს. იმასაც კი ამბობენ ასე მიეგებნენო: «ივან ივანიჩ, თქვენა ხართო?»

თუ ეს სიტყვები მართლა, წარმოითქვა ვისგანმე, მაშინ ამის მთქმელმა, ეჭვი არ არის, გამოხატა მთელის რუსეთის მაშინდელი საერთო სულიერი ვითარება. ღრმასა და ხანგრძლივ ძილში მყოფმა რუსეთმა ვერც კი შეჰნიშნა მტერი იმ დროს, როცა ის უკვე პორტ-არტურის ზღუდეებთან იდგა. ზარბაზნების გრიალმა ერთბაშად ვერც კი გამოაღვიძა. პირველ ხანში ვერ გამოარკვია, თუ რანაირი სასტიკი საფრთხე მოელოდა. მოეჩვენა, თითქოს მისიანმა ვინმემ წაჰკრა გვერდშიო. ჯერ ისევ ძილში, წაილუღლუღა: «ივან ივანიჩ, თქვენა ხართო?» აფეთქებულმა ნაღმმა გასცა პასუხი. უნებლიედ ეკითხებით თქვენს თავს, რამდენჯერ უნდა განმეორდეს რუსეთის ისტორიაში ეს კითხვა და ეს პასუხი.

უზრუნველობა—განსაკუთრებული თვისებაა ჩვენის ეროვნული ხასიათისა. უზრუნველთ ყოველთვის სძინავთ, რა დროც უნდა იყოს და რა მდგომარეობაშიც უნდა იყვნენ. ჩვენმა მეზობლებმა ეს იციან და კიდეც სარგებლობენ. მძინარეს რა არ შეემთხვევა: შეუძლიანთ შეჰბოჰონ, გალახონ, გაძარცონ. თუ ძალიან ეძინა, ძილს შემდეგ ყველაფერი მოულოდნელი ეჩვენება—ისიც, რომ ქვეყნად არიან მძარცველები, ისიც, რომ ეძინა და ისიც, რომ ძილში დაშავებული მისი ხელი აღარ მოძრაობს.

როდესაც გამოვიღვიძეთ, დავინახეთ, რომ ჭრილობათაგან სისხლი გვდიოდა. «ვარიაგი» და «კორეეცი» აღარა გვყავდა. საუკეთესო გემები დაზიანდნენ და ჩვენს ესკადრას კარგა ხნობით ჩამოშორდნენ. იაპონელები გაბატონდნენ ზღვაზე. თავიანთი ჯარი ჩემულპოში გადმოსხეს. ნაცნობ და არა-საშიშ «ივან ივანიჩის» მაგიერ პორტ-არტურის კიდეებთან აღმირალი ტოგო იდგა და ალყა ჰქონდა შემორტყმული ჩვენის ფლოტისათვის.

მას აქეთ არ გვცილდება უცაბედობა. მოულოდნელი გამოდგა ჩვენთვის «ვერაგობა» იაპონელებისა რომელნიც თავს დაგვესხნენ ომის გამოუცხადებლად; თუმცა უკანასკნელი თავიანთი ომი ჩინეთთან ასევე «ვერაგ თავ-დასხმით» დაიწყეს. მოულოდნელი გამოდგა ჩვენთვის იაპონიის აუარებელი შეიარაღებული მხედრობა და მისი ფინანსიური სიმძლავრე; თუმცა იაპონიის მხედრობის მდგომარეობა კარგად ჰქონდა გაცნობილი ჩვენს მთავარ-შტაბს და ფინანსიური ძალა—ჩვენს დიპლომატიას. ვერც კი წარმოგვედგინა ის უბრალო გარემოება, რომ ორმოცდა-ათ მილიონ ხალხს შეეძლო ჰქონოდა დიდძალი ფული და ძალიან კარგადაც შეიარაღებულიყო. ჩვენთვის მოულოდნელი იყო იაპონელ ჯარის შესანიშნავი სამხედრო თვისებანიც, თუმცა ჩვენ თვალ-

*) ეს წერილი ეკუთვნის კიევის უნივერსიტეტის პროფესორს თავ. ევგენ ტრუბეცკოის—მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. პეტრე ტრუბეცკოის ძმას და დასტამბულია გაზ. «პრავო»-ს მე-39 ნომერში, რომელიც ენკენისთვის 26-ს გამოვიდა პეტერბურგში. დ.

სიელი და ციმბირელი სემინარიელები კონკურს არ იჭერენ. საკმაოა მიიღონ ცალკე საგნებში 3, რომ მთავრობამ ჩარიცხოს სტუდენტებად,

— მოსკოვშიაც არსდება დედათა სამკურნალო ინსტიტუტი. უმაღლესი მთავრობა სიხარულით შეეგება ამ აზრის განხორციელებას, ამ ჟამად შემდგარია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს დედათა სამკურნალო კურსების პროგრამა, მუშაობას უკვე შეუდგნენ. ამ პროგრამით, ინსტიტუტში მეცადინეობა იქნება 6 წელიწადს. სტუდენტ-ქალებს გარდაჰხდებათ წლიურად 100—125 მან. ამ აზრის საბოლოოდ განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ მოსკოვის ქალაქის საბჭოს დახმარება, ქალაქმა სტაროეკატერინინის საავადმყოფო უნდ ადაუთმოს სტუდენტ-ქალებს პრაქტიკულ მეცადინეობისათვის.

## ჩვენებური რამე-რუმე

### შეურაცხმყოფელი რეკლამა.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი დრო განცხადებისა და რეკლამის დროა! ყველაფერი, რასაც-კი საგნად გასავალი აქვს, ჰკივის და სწივის, ყვირის და ჰქუხს— მომაქციეთ ყურადღებაო: აი რა კარგი ვარ, და რა ხელ მისაწდომი, რა იაფი, სწრაფი და სხვაო!..

საოცარია რეკლამა ამერიკაში, საკვირველია ევროპაში, ხოლო ძალზე ტლანქია რუსეთში, რადგან მოკლებულია მჭევრობას და მახვილობას, მაგრამ მაინც რეკლამა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ჩვენშიაც და გადამდებ სენივით დღითი-დღე ვრცელდება საზოგადოების ყველა წრესა და წოდებაში. თავსგასული რეკლამა და გაზვიადებული განცხადება არას ჰზოგავს ხალხის მოსაღორებლად, საზოგადოების მოსატყუებლად.

ეხლა ხან მოსკოვში გაკოტრდა ერთი მეტად დიდი ფირმა—ფორტოპიანოს ქარხანა ოფენბახერისა და გაკოტრების უმთავრესი მიზეზი იყო, თურმე, რეკლამები. მარტო ორ თვეში ფირმას რეკლამებზე დაუხარჯავს 75,000 მანათი!!..

აბა, რა თანხა გაუძლებდა ასეთს გველეშაპს და მართლაც ფირმა გაკოტრდა და ქარხანამ საქმის წარმოება შესწყვიტა სამუდამოდ...

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ამ ცხრა თუ ათის წლის წინად ვიღაც თავზედხელ აღებულმა ჯამბაზმა, გვარად მაქსმა, ცირკის პატრონმა, სხვათა შორის, ცირკის აფიშებში დიდრონის ასოებით გამოსჭიმა, რომ წარმოდგენის დასასრულ დადგმულ იქმნება «შესანიშნავი“ პანტომიმა —„Царица Тамара“-ო.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედა ამ უგვანო რეკლამამ ჩვენს ახალგაზდობასა და მთლად ქართველობაზედ. ჩვენი სამართლიანი გულის წყრომა დაუყოვნებლივ გამოვუცხადეთ შესაფერის სიფიცხითა და აღელვებით ჯერ თვითონ ჯამბაზ მაქს და მერე პოლიციის უფროსს ბ-ნ მასტიცკის, რომელიც, მიხვდა რა ჩვენის ეროვნულ გრძნობის შეურაცყოფას... რა თქმა უნდა, აფიშები დაუყოვნებლივ ჩამოხეულ იქმნა ბოძებიდან და გარეკლამებული პანტომიმაც იმ დღიდან არ გაჭაჭანებულა ცირკში.

აგერ ერთი კვირაა ტფილისის ქუჩების ბოძებზე გაკრულია „Банковскій садъ“-ის აფიშა, რომელზედაც, სხვათა შორის, არშინის ოდენა ასოებით არის მოხსენებული ვიღაც „M-lle Тамара Грузинская»... შესცქერი ამ აფიშას, ჰკითხულობ და თან არ გჯერა, არ იცი, რას მიაწერო ასეთი საქციელი—სრულს უვიცობას, თუ თავგასულობას.

ჩვენს საზოგადოებაში თამარა გრუზინსკის სახელი ცნობილია, ვითარცა ყველასათვის პატივსაცემი და დიაღ ღირსეული. მაშ, როგორ მოჰხდა, რომ აფიშებზე ბაღის პატრონმა, რომელიც ქართველია, ნება დართო რეკლამის გულისათვის აფიშაში იმისთანა ფსევდონიმისა, რომელიც ღრმად შეურაცყოფს არა თუ იმ საპატიო ადამიანს, ვისი სახელიც ასე უდიერად გამოჭიმულია აფიშაზე, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებასაც!? როგორ მოჰხდა, რომ ნება-დართულ იქმნა ამისთანა უგვანო რეკლამა!?

რა გასაკვირველი იქნება, თუ დღეს თამარ გრუზინსკისა გამოჭიმეს კაფე-შანტანის აფიშებში, ხვალ იმავე რეკლამის ჟინით ვახტანგ გორგასლანის ან დავით აღმაშენებლის სახელით არ მოინათლება რომელიმე თავზე ხელ აღებული მასხარა და ჯამბაზი! ვინ არის თავდები, რომ იმავე «ბანკოვსკი სად»-ის მტლინკავ ქალებში არ აღმოჩნდება ქეთევან წამებული და სხვა!!

ვიმეორებთ, რას ჰნიშნავს და რას მოასწავებს ასეთი რეკლამა—თავსგასულ სიბრიყვეს, თუ შუბლ ჩაკირულ უვიცობას?!

სკვითი.

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ, «ნოვ“-ი მოგვითხრობს მწერლობის შესახებ კანონთა ცვლილების ისტორიას თითქმის 1865 წლიდან, როცა პირველად დაწესდა ზოგიერთ გაზეთის განთავისუფლება ცენზურისაგან.

ის ჟურნალ-გაზეთები, რომელიც თავისუფალი არ იყო ცენზურისაგან, ექვემდებარებოდა სამართალს. თუ მესამედ მიიღებდა ადმინისტრაციისაგან გაფრთხილებას, მერე სამართალს უნდა განებჩო, რა სასჯელის ღირსი იყო ჟურნალი თუ გაზეთი. ასე იყო 1872 წლამდე, როცა დასჯის უფლება ადმინისტრაციაზედ იქმნა გადატანილი. სამართალს ნება ჰქონდა მხოლოდ ავტორები განესაჯა და განეკითხა და შესაფერი სასჯელი დაედო. 1873 წლის კანონმა ნება მისცა ადმინისტრაციას, დიდის სახელმწიფო საქმის განსჯისა და განბჩობის უფლება შეგიძლიან ჩამოართვა მწერლობასაო. ვადა არ იყო განსაზღვრული, თუ რამდენის ხნით მიენიჭა ადმინისტრაციას ეს უფლება. ბოლოს ამ კანონის ძალით არამც თუ სამძიმო საქმეების განხილვა, არამედ ისეთის ცნობის დაბეჭდაც კი აღეკრძალათ გაზეთებს, რომელიც შეეხებოდა ჩინოვანს კაცებს. 1882 წლის კანონმა დააწესა, რომ თუ გაზეთმა ან საკვირაო ჟურნალმა მესამედ გაფრთხილება მიიღო და შეჩერებულ იქმნა დროებით, შემდეგ უნდა დაექვემდებაროს ცენზურსაო. ამას გარდა, ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემა, ოთხის მინისტრის მორიგებით, შესაძლოა სრულიადაც გაუქმებულ იქმნასო.

გაზეთი ამბობს შემდეგ, რომ ასე შორს დასცილდნენ თან და თან იმ კანონს, რომელიც გამოცემული იყო 1865 წელსაო. მწერლობის ფრთების შესაკვეცელად გამოვიდა სხვა-და-სხვა ახალი განკარგულება, როგორც დროებითი ღონის-ძიება, მაგრამ ათისა და ოცის წლის შემდეგ, არამც თუ არ იქმნა გაუქმებული, არამედ ჩაერთო მწერლობისა და ცენზურის კანონთა კრებულშიო.

• თან და თან ისეთი სხვა და სხვა სასჯელი იქმნა შემოღებული, რომლის ხსენებაც არ იყო 1865 წლის კანონში, სახელდობრ: აღკრძალვა ცალკე ნომრობით გაყიდვისა და განცხადებათა ბეჭდვისა, დამტკიცება ადმინისტრაციის მიერ რედაქტორისა, რომელსაც აირჩევდა გამომცემელი. ამ ღონის-ძიებამ თან და თან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ რედაქტორი რედაქტორი კი აღარ იყო, არამედ მთავრობისათვის სანდო კაცი თანამდებობისა, გამომცემლისაგან დამოუკიდებელი. თუ დასჯას მოინდომებდნენ გაზეთისას, რამდენიც უნდა წარედგინა გამომცემელი რედაქტორად, ადმინისტრაცია არ დაამტკიცებდა და გაზეთი იძულებული შექმნებოდა მოესპო თვისი არსებობა. ადმინისტრაციის მიერ დადებული სასჯელი იმ ჟურნალ-გაზეთებისათვის, რომელიც თავისუფალი იყო ცენზურისაგან, ბოლოს იმათაც დაეკისრათ, რომლებიც წინ და წინვე ცენზორს უგზავნიან აწყობილს მასალას ნებადასართველად და რომელთაც გაფრთხილება არ ეძლევათ.

წინად გაფთხილებას ვადა არც კი ჰქონდა ხოლმე დადებული და ზოგიერთს გაზეთს ეს გააფთხილება არ აეხსნებოდა ხოლმე 10—20 წლის განმავლობაში. მხოლოდ ამ რამდენისამე წლის წინად დაწესდა, რომ გაფრთხილება ერთს წელზე მეტს ხანს ვერ დაატყდებოდა გაზეთს თავსა. ისიც დიდის ხნის ამბავია, რომ გაზეთისათვის ხშირად აუკრძალიათ ბეჭდვა ერობათა და ქალაქის თვითმართველობის კრებათა ანგარიშებისა გუბერნიის მთავრობის ნება დაურთველად. ამისთანა შეზღუდვა დაწესდა 1867 წელს, ესე იგი მაშინ, როცა ის იყო დიდის ამბით იქმნა გამოცხადებული პრინციპი ყოველისავე ცხადად, დაუფარავად განსჯა-განხილვისა. გაზეთის აზრით მწერლობას ისეთივე უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ნდობით მოეკიდონ, როგორც საზოგადოებას. ეჭვი არ არის, რომ მწერლობას დიდი დახმარება შეუძლიან გაუწიოს ქვეყანას და დიდი სარგებლობაც მოუტანოს, როგორც ეს აღვიარა შინაგან საქმეთა მინისტრმა პროვინციის მწერლობის წარმომადგენელთა დეპუტაციის წინაშე.

მაგრამ, ეჭვი არ არის, რომ თუ გვინდა მწერლობამ სარგებლობა მოგვიტანოს, მეტი ფრთა-გაშლილობაა მისთვის საჭირო.

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ოქტომბერი

**ტოკიო**, 7 ოქტომბერი (რეიტერი). როგორც იაპონიის უმთავრეს ბანაკიდან დეპეშით იუწყებიან 5 ოკდომბრის თარიღით, იაპონიის მარჯვენა ლაშქრის შუბლის რაზმმა იერიში მიიტანა რუსის ცხენოსნებზე, რომელნიც იდგნენ თუნძილში და გამოდევნა ისინი იქიდან, მაგრამ რუსის მცირე რაზმმა დაიბრუნა ისევ ის პოზიცია. რუსებს ისევ უჭირავთ ვაიტაოჩანი. 6 ოკდომბერს შენიშნეს რუსის ორი ქვეითა ბატალიონი კაოპუანჩისთან იაპონიის მარჯვენა ფრთისაკენ. ფინდიაპუსთან ნახეს ერთი ბატალიონი რუსებისა. რუსის ბატარეიები ჩრდილოეთის მხრივ ამ ადგილიდან ესვრიან იაპონიის პოზიციებს ზარბაზნებს. არაფერი ცვლილება არ მომხდარა არც მარცხენა რაზმისაკენ და არც შუბლის ლაშქრის წინ. მარცხენა ფრთისაკენ სიწყნარეა, თუმცა რუსები ხანდისხან ესვრიან იაპონიის პოზიციებსა. ღამე, 5 ოკდომბერს, რუსებმა მარცხენა რაზმის შუბლზე მიიტანეს იერიში, მაგრამ გააბრუნეს.

**თიანძიანი.** (რეიტერი). რაკი ლხასს ელჩს ტოგ-ხაოძის გზავნიან, ჩინეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა გაკეთდეს ტელეგრაფი სიჩუანიდან თიბეთში.

**ციმპო,** (თიბეთი), 7 ოკდომბერი (რეიტერი). ინგლისის ექსპედიცია მოვიდა აქ; გზაში დიდი გაჭირვება გამოუვლიათ თოვლისაგან. ბევრს ჯარის-კაცებს თვალთა სინათლე დაჰკლებიათ თოვლის ბრჭყვინვისაგან.

**მუკდენი.** «ბერლინერ ტაგებლატ»-ის სამხედრო კორესპონდენტი გედკე იუწყება, აწინდელი ჭრილობანი უფრო საშიშია წინანდელზე, ეს იმისგან მოხდა, რომ იაპონელები ხმარობენ ძველის ყაიდის თოფებსა და ჯარის-კაცებს ერთობ სქელი ტანისამოსი აცვიათ.—გედკეს კერძო ცნობები მიუღია პორტ-არტურიდან, ციხეში იმდენი სამხედრო მასალა აქვთ, რომ ორ თვემდე ეყოფათო. სურსათი კი უფრო ბევრს ხანსაო. იქ არც კი ფიქრობს ვინმე, რომ პორტ-არტური უნდა დანებდეს. — კონდრატოვიჩის დივიზიამ გუშინ კიდევ ჩაიგდო ხელში იაპონიის ზარბაზნები.

**მოსკოვი.** 8 ოკდომბერს ლიაოიანიდან მოვიდა მოსკოვს პოდპორუჩიკი ორიოლი, რომელმაც შარშან გაათავა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. ის წამოსულა პორტ-არტურიდან ნავით აგვისტოში. ნავი იაპონიის ნაღმოსანს დაუნახავს, დაუწყვია სროლა, ნავი დაღუპულა დ თან ოთხი ჩინელიცა. ორიოლი ცურვით გასულა ნაპირამდე, აქედან მიუღწევია ჩინური ტანისამოსით ლიაოიანამდე და კუროპატკინისათვის შეუტყობინებია ჩუიონჯანიდან დახევა. ორიოლს გენერალ ფოკის ბრძანებით ცეცხლი მოუკიდებია რუსის თაფისწამლის საწყობებისათვის, ამ დროს ხუთგან დაუჭრიათ. იმის წასვლის დროს პორტ-არტურში მცხოვრებთაგან ცოტანიღა დარჩენილან, ქალები ასზე მეტი აღარ დარჩენილა; ესენი უვლიდენ დაჭრილებსა სტესელის მეუღლესთან ერთად. მაშინ ყუმბარები უკვე ცვიოდა ქალაქში. დაზიანდა რამოდენადმე ხელმწიფის მოადგილის სახლი, სამხედრო ეკლესია და აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობა. ორიოლი ამბობს, ჯერ აქნამდე იაპონელებს არც ერთი შინაგანი სიმაგრე არ აუღიათო. წყლის მილის კოშკის აღებას მნიშვნელობა არა აქვსო; წყლის მილი მარტო რკინის გზისათვის იყოო.

9 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა 1 მანჯურიის ლაშქრის სარდლისა 8 ოკდომბრის თარიღით: «7 ოკდომბერს დაბინდებისას იაპონელნი წავიდნენ სოფელ სარეპუდან. 8 ოკდომბერს ღამემ წყნარად გაიარა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას». დეპეშა გენერალლეიტენანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბის სახელზე 8 ოკტომბერის თარიღით: «8 ოკტომბერს 1 მანჯურიის ლაშქარს ბრძოლა არსად არა ჰქონია. 8 ოკტომბერს მტერი საჩქაროდ წავიდა სახეპუდან, სადაც ვიპოვნეთ იარაღი, ტყვია-წამალი და საკვები, ხოლო იმ ალაგას, სადაც უწინ ჩვენი არტილერია იდგა, ვნახეთ ერთი ზარბაზანი. სულ 3 ოკდომბრის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიუფლეთ 14 იაპონიის ზარბაზანი, იმათში 9 საბარო და 5 სამთო და ერთი ჩვენი დარჩათ“.

**გუძიაძი**, 8 ოკდობერი. 26 სეკდემბრიდან 5 ოკდომბრამდე პირველი კორპუსის პოლკებს გააფთრებული ბძროლა ჰქონდათ იანშუტანის სიმაღლეებზე და სახელოვნადაც შეასრულეს მოვალეობა, თუმცა კი დიდი ზიანი მოუვიდათ. განსაკუთრებით დიდი სისხლის ღვრა იყო 3 ოკდომბერს კლდიანი ადგილის აღების დროს შახეს ნაპირას, სახოიანთან. იმ ბრძოლაში ჩვენ 13 ზარბაზანი დაგვრჩა, 40 ტყვია-წამლის ყუთი, მრავალი თოფი და სასროლი მასალა.

**ტოკიო**, 7 ოკტომბერი. (რეიტერი). იაპონელთა მარცხენა ფრთა გაჭიმულია მდინარე შახეს იქითა მხარეს და უნდა რუსის მარცხენა ფრთას შემოუაროს. მეორე დიდი ბრძოლა, როგორც ეტყობა, აუცილებელია. მაშინ კი იაპონელნი შეუტევენ. რუსებმა გამართეს პუკჩენში საავადმყოფო.

**შადრინსკი**, 9 ოკდომბერი. შადრინსკის მაზრის გლეხობამ გაიგო თუ არა, რომ წითელ ჯვარს შემწეობა ეჭირვება, დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება ფულად და პურით. მრავალ საზოგადოებაში განაჩენი დაადგინეს, რომ სულზედ გადასახადი გააწერონ წითელ ჯვრის სასარგებლოდ.

**ვაშინგტონი**, 7 ოკდომბერი. (რეიტერი). ამ დღეებში რუზველტი ოფიციალურს ქაღალდს დაუგზავნის დიდ სახელმწიფოებს და წინადადებას მისცემს, დანიშნონ დელეგატები ჰააგაში მეორე სამშვიდობო კონფერენციის მოსაწვევად და განსაზღვრონ ვადა კონფერენციის მოწვევისა. გუშ დღეს წარუდგინა სამინისტროს კონფერენციის მოწვევის პროექტი.

**ჩიფუ**, 9 ოკდომბერი. (რეიტერი). იაპონელები დიდის სიძლიერით ისევ უშენენ ყუმბარებს რუსებს. ქვეითა ჯარის თხრილები მტრედის ნავთ-სადგურიდგან ჩრდილოეთის მხრივ დაგუშანამდეა გაჭიანურებული და თითქმის ნახევრად გარშემოვლებულია.

**ტოკიო**, 9 ოკდომბერი. (რეიტერი). სათადარიგო ჯარის საომარ ფეხზედ დაყენება ოიამას ლაშრის გასაძლიერებლად სჭირდება, რადგანაც 1898 წელს აპრილში სამხედრო ბეგარის მოხდის თაობა-

---

წინ ორს ომში გამოიჩინეს ეს თავიანთი ღირსებანი. ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ რაოდენი ფანატიკური მძულვარება ჰქონდათ ჩანერგილი გულში ჩვენდამი. ეს მძულვარება აუცილებლად უნდა გაჩენილიყო იაპონიაში ჩვენ-მიერ პორტ-არტურის დაჭერის, მანჯურიის ოკუპაციის და ჩვენის ჯარების ჩრდილოეთ კორეასთან დაახლოვების შემდეგ. ამიტომ არ არის დასაჯერებელი, რომ ვითომ ჩვენის დიპლომატიისათვის საიდუმლო ყოფილიყოს იაპონიის საუკეთესო მცოდნეს დიუმოლარისაგან აღმოჩენილი ფაქტი, რომ რუსეთისადმი ფანატიკური სიძულვილი იაპონიის საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო საფუძვლად არის დადებული.

გულის ტკივილით უნდა ალვიაროთ, რომ ყველაზე უფრო მოულოდნელი იყო ჩვენივე საკუთარი მოუმზადებლობა ომისათვის, რაც დამოწმებულია კიდეც მართებლობის განცხადებითაც!... ოულოდნელი გამოდგა ყველასათვის მანჯურიაში მყოფ ჩვენის ჯარის მცირე რიცხვი, ციმბირის რკინის გზის ჯარის სუსტი მუშაობა, ნავთ-სადგურის უხერხულობა, რომლიდანაც დიდ გემებს ვერ შეეძლოთ გასვლა ზღვის უკუმიქცევის დროს და მშრალის დოკის უქონლობა (ნავთ-საშენებელ ადგილისა). მოულოდნელი გამოდგა ისიც, რომ ჩვენმა ბალტიის ესკადრამ მხოლოდ ახლა, შუაგულ შემოდგომაზე, შესძლო გამგზავრება; აგრედვე ისიც, რომ ახლა სეკდემბერს არა თუ ტოკიოში არა ვართ, არამედ იმითღა ვნუგეშობთ, რომ კუროპატკინმა მშვიდობიანად დაიწია უკან ლიაოიანიდან.

ყველა ამ მოულოდნელობის ჩამოთვლა და ყველა იმ მსხვერპლის აღნიშვნა, რომელიც ჩვენ შევსწირეთ ამის გამო,—რუსეთ-იაპონიის ომის უკანასკნელ დღეებამდე მთელის ისტორიის დაწერა იქნებოდა. ჩვენ ვერ წარმოვიდგინეთ ყველა ის, რასაც ვერ წარმოიდგენს გუნებიერი მძინარი.

ვისი ბრალია? რუსეთის საზოგადოებისა? იმას ეძინა.

შეუძლია ვისმე ბრალი დასდოს ჯარს? განა ის მთელს ქვეყნიერობას არ აკვირვებს თავის არ-ნახულ და არ-გაგონილ გმირობის ამბებით? დამნაშავენი არიან ჩვენი სარდლები? გენერალ კუროპატკინის შესანიშნავი ხერხიანობა ხომ აღსარებულია ყველა მტრისა და მოყვრისაგან. მან გადაანარჩუნა ჩვენი ჯარები, და იგივე რჩება რუსეთის იმედად. მხოლოდ ერთს იმას შეუძლია გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს კიდეც, თუ მიენიჭა სრული თავისუფლება მოქმედებისა. გენერალ სტესელის, ადმირალების: მაკაროვის, ვიტგეფტის და ბეზობრაზოვის სახელები დაუმჭკნარის დიდებით არის შემკობილი. „ვარიაგის“ და „კორეეციის“ დაღუპვა იყო ზნეობრივი გამარჯვება რუსეთის იარაღისა. მაგვარივე იყო ყველა დანარჩენი უბედური მარცხი და შემთხვევა. არმია და ფლოტი კი არ მარცხდებოდა— არამედ ეს იყო დამარცხება რუსეთის ბიუროკრატიისა! სხვაფრივ ფიქრი მამაც არმიაზე ბრალდება იქნებოდა და ეს ხომ უსამართლობა კი არა, დანაშაულიც უნდა იყოს ჩვენის მხრივ.

ბიუროკრატია, რომელმაც ჩააძინა ჩვენი საზოგადოება, თვითონვე მოიღალა საზოგადო, ძილის მომგვრელ, ჰაერით; ამიტომ განახორციელა ცხადად ჩვენი საზოგადო ნაკლი—ჩვენი დაუდევრობა.

რომ კვლავ კიდევ უცებ არ ჩავცვივდეთ ამგვარ მდგომარეობაში, საჭიროა, ახლა მაინც გამოვარკვიოთ, რაგვარი საფრთხე მოგველის.

რუსულ ისტორიის ახლანდელ კრიტიკულ დროს, როდესაც ვებრძვით მედგარ გარეშე მტერს, ზრუნვა შინაურ მშვიდობიანობის დაცვისათვის უნდა შეადგენდეს უპირველესს საგანს. ბიუროკრატია და საზოგადოება არ უნდა იყვნენ დაპირდაპირებულნი, როგორც ორი გადამტერებული ბანაკი, არამედ უნდა იყვნენ შეერთებულნი ერთს საერთო სამსახურისათვის. ბიუროკრატია ჩვენში, ისე როგორც ყველგან, სახელმწიფო ცხოვრების აუცილებელი ნაწილია. რომ მან შეასრულოს ნამდვილი თავისი დანიშნულება, საჭიროა, გაითვალისწინოს საზოგადოების ინტერესები და თავისი მოქმედება დაუმორჩილოს საზოგადოებურ მისწრაფება-სურვილს; მან უნდა ჰმართოს საზოგადოებასთან ერთად და არა საზოგადოების წინააღმდეგ.

ბატონმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ დღეებში ილაპარაკა, რომ საჭიროა მთავრობა აღიჭურვოს ნდობით საზოგადოებისადმიო. კეთილი იყოს! მივესალმოთ ამ სიტყვებს, ვინატროთ სულით და გულით, რომ ეს სიტყვები მალე საქმედ ქცეულიყოს. დაე, მაღლა და რიხიანად გაისმას მოწოდების ხმა, საზოგადოებისკენ მიმართული. მაშინ ჩვენ ყველანი შევსდგებით ხნის ერთად-ერთს გზაზე, რომელიც მიგვიყვანს ეროვნულ განახლებისკენ. მაშინ არ შეგვეშინდება არც შინაურ და არც გარეშე მტრისა. ტახტიც, თვის გარშემო შემომკრები ერისა, გახდება დიადი, მძლავრი და სადიდებელი.

დ.

ზედ გამოიცა ახალი წესები და მას აქეთ ბევრმა სათადარიგო ჯარში ჩარიცხულმა საცხოვრებელი ბინა გამოიცვალა და ჯერ კიდევ ვერ მოუძებნიათ

**სეული**, 7 ოკდ. (რეიტ.). ამას წინად დაბრუნდა გენზანს კორესპონდენტი, რომელსაც დაუთვალიერებია უსურიის მხარე და მდ. ტუმენის მიდამონი. ტუმენის გაღმა-გამოღმივ არავითარ საფარ-სანგრებს არ აკეთებენო; რუსნი აკეთებენ მხოლოდ ხიდებს ჩინოენსა და კიონსიონსაო. რუსთა მხედრობა თან და თან ძლიერდება პოსიეტის ყურეს მახლობლად. თავს იყრიან ქვეითნიც, საპიორნიცა და ცხენოსანნიცა. პუჩკენსა და სამზღვარს შორის ტელეგრაფია გამართული. კაირიენს ყაზარმებს აშენებენ საზამთროდ.

**შანჰაი**, 8 ოკდ. (რეიტ.) ამ ბოლოს დროს მოვიდა ამბავი ტოკიოდან, რომ გენ.-ლეიტ. სამეხიტა, არტილერიის უფროსი ტოკიოში წავიდა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე და თან წაიღო ზარბაზნები პორტ-არტურის გარეშემო დგომილთათვის მისაშველებლადაო. ნაწილი მე-8 დივიზიისაც, სახალინში შესასევად გამზადებული, პორტ-არტურს გაიგზავნა. დანარჩენი ჯარები ოსაკს არიან და ელიან ბრძანებას.

**ლონდონი**, 9 ოკდომ. (რეიტ.) კუროკის ლაშქრიდან დეპეშით იწერებიან 4 ოკდ. თარიღით, რომ, როგორც ეტყობა, კუროპატკინი დიდს სამზადისშია და უნდა შეიმაგროს დავაკება მუკდენის წინაო. ამ აზრით თავს უყრის ჯარებს და ამაგრებს საფარ-სანგრებს სამად გამწკრივებულს. პირველი მწკრივი დაუხეს მისდევს, მეორე ხუნხეზეა და მესამე—მუკდენს ახლოს. რუსნი უფრო მხნედ მოქმედებენ დასავლეთისაკენ და ეძებენ შემთხვევას, რომ იაპონელთა ჯარი გაარღვიონ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

6 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,30 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 89 წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 418 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 320 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 269 ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავად მყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).


# განცხადებანი

## „ცოდნა"-ს

### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| აბში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა | » 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9—,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3—,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | ,,—60 კ. |
| ანტონ კათალიკოზ. ქართ. გრამატიკა | 1—,, კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2—,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი | 1—,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III | 1—80 ,, |
| Вступл. Грузiи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторiя Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადა თანხა** | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხ.** | **2.664.808 მან.** |

### დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემია, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგში, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, ანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)



# სწორედ მუქთია.



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან

მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი", ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფილიპიანი და კომპ., ვარშავა,** 36—333

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)

## მსწრაფლ მბეჭდავი

# სტამბა

### ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.


Дозволено цензурою Тифлисъ 9 октября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарiи